ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4773062

ნომერი: AR1720796

თარიღი : 25.11.2019

გაცემის თარიღი : 29.11.2019

გაცნობის თარიღი : 02.12.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ცენტრალური ისანი-სამგორი , რკინიგზის მაგისტრალის მიმდებარედ, (ნაკვ.15/002);

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ ჭუბაბრია პ/ნ 35001027344
- რუსთავი ალ.ყაზბეგის II ჩიხი N 8

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - დამხმარე - ტექნიკური ნაგებობები

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 25 ნოემბრის N AR1720796 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.19.22.015.002 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ვრცელდება შემდეგი ზონები საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და (ტზ-1) — სატრანსპორტო ქვეზონა, (ტზ-1) — სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს;

საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) — წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;
დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური)შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1 0,5 კოეფიციენტი
კ-2 0,8 კოეფიციენტი
კ-3 0,3 კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე – ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები მინიმალური ფართობი 250 კვ.მ
მინიმალური სიგანე 9 მეტრი
მინიმალური სიღრმე 15 მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრი
შენიშვნა

ვინაიდან დაგეგმილი სამუშაოებით არ ხორციელდება (ტზ-1) — სატრანსპორტო ქვეზონა, მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული ობიექტების განთავსება შესაბამისად აღნიშნულ ნაწილში შენობას ვერ განათავსებთ , ხოლო რაც შეეხება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) -ში საპროექტო შენოცის განთავსებას მისი ფუნქციური დანიშნულება უნდა მიესადაგებოდეს დანართი-1-ით განსაზღვრული შენობის სახეობას ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენს საკითხზე მსგელობა საჭიროა მოთხოვნის შინაარსის ტექსტში მიუთითოთ საპროექტო შენობის ფუნქციის შესახებ ინფორმაცია (დანიშნულება მიზნობრიობა), ასევე წარმოსადგენია საპროექტო შენობის განთავსების სქემა
....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება -> ....ქმედებები: შეივსოს ფუნქციური დანიშნულების ველი;
...საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: შაიწეროს დაზუსტებული ფუნქცია
რადგან ობიექტი არ წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს საჭიროა შეივსოს ველი“ ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა)“ -ანუ მიეთითოს ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ, სავარაუდო გამწვანების პროექტის აღწერით (გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვის გაცემისას) და ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივიშეფასების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2019 წლის 25 ნოემბრის N AR1720796 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.